



# სპორტული

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР  
и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ  
სპორტულ საზოგადო-  
ებათა და ორგანიზა-  
ციების მსახიობი და  
პროფკავშირთა საქა-  
რთველოს რესპუბლიკ-  
ური საბჭოს ორგანო



შესანიშნავმა მძლეობა იჩინა თბილისში 1961 წელს მოხს-  
ნა თავისივე მსოფლიო რეკორდი ხუთჯერადი ფენომენალური შედეგით,  
რომელიც რეკორდების ცხრილში ამერიკიდან აღინიშნება 5,137 ქულით,  
აქ მოყვანილ სურათებზე თქვენ ხედავთ მომენტებს, სადაც აღ-  
ბეჭდილია ი. პრესის სარეკორდო გამოცდები თბილისში ხუთ-  
ჯედელთა ასპარეზობის დროს. თვითუფლ სურათზე ნაჩვენებია ახალი  
მსოფლიო რეკორდის შემადგენელი შედეგები. ძველი რეკორდი, რომე-  
ლიც მან 117 ქულით გააუმჯობესა, ახლა მხოლოდ ისტორიაა. არის ახა-  
ლი რეკორდი, რომლის სამშობლო ჩვენი დედაქალაქი — თბილისია!  
ფოტო მ. ზარგარიანისა,

## აღვიწიდან გვატყობინებენ

### ჩოხატაური



ჩოხატაურის სპორტსმენები შრო-  
მით ფერხულში გარკვეულ წარმა-  
ტებებს აღწევენ. მაგრამ ისინი არ  
აკლებენ სიხალისესა და შრომას  
კომუნისტური პარტიის ყრილობის  
ღირსეულად შეხვედრისათვის აღე-  
ბული ვალდებულებების შესრუ-  
ლებას.

— რაიონის ფიზკულტურულმა  
ორგანიზაციებმა და სპორტსმენებ-

მა, — წერია ჩოხატაურის სპორტ-  
კავშირის თავმჯდომარის გ. ჩიკვაი-  
ძის დებულებაში, — ოქტომბრის დამ-  
დებისათვის მოამზადეს მთი I სა-  
ფეხურზე 170 კაცი, ხოლო II სა-  
ფეხურზე — 210, მომზადებულია  
35 მესამე, 150 მეორე და მო-  
ზარდთა 100 თანრიგისანი.

### გორაკობი

შესამჩნევად ამაღლდა სპორტულ-  
ი ცხოვრების მაჩვენებელი. გამოჩ-  
ნდნენ ახალი ფიზკულტურული  
კადრები, თანრიგისანი სპორტ-  
სმენები. ბოლო თვეებში აქ მომ-  
ზადდა 2 სპორტის ოსტატი, მაშინ  
როცა ბორჯომელები ერთ ოსტატს  
გვპირდებოდნენ. ასევე გადაჭარბე-  
ბით მომზადდა მეორეთანრიგისნი-  
ბი — 99, მესამეთანრიგისნი —  
608, საზოგადოებრივი ინსტრუქ-  
ტორები — 119 და მსახიბები — 111.



## სტარტზე — მეომრები

რომლებიც ერთმანეთს პირველ აღ-  
გილს ეგებოდნენ ავტობატო-  
დან სროლაში, ყუმბარის ტყორც-  
ნაში და წინაღობათა გადალახვაში.

ავტობატოდან სროლაში პირველი  
აღვლი მოიპოვეს საბჭოთა გუნდის  
წარმომადგენლებმა ლეიტენანტმა ვ.  
ბორისოვმა და რიგითმა ვ. ვუკო-  
ლოვმა. ყუმბარის ტყორცნაში ყვე-  
ლას აგობა ლეიტენანტმა ბ. დაურ-  
ცევმა (სსრ კავშირი).

ყველაზე საინტერესო გამოდგა  
შეჯიბრება წინაღობათა გადალახვა-  
ში. 400-მეტრიან დისტანციებზე იყო  
3-მეტრიანი ორმო, 2 მეტრი სიმაღ-  
ლის ხის კედელი, მეთულხლართი  
და სხვა ძნელად გადასალახავი წი-  
ნაობანი.

ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად  
განვლო საბჭოთა არმიის ლეიტენან-  
ტმა ვ. ბორისოვმა.

საჭიდის ჯამში გამარჯვებულის  
სახელი მოიპოვა ვ. ვუკოლოვმა  
(სსრ კავშირი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო  
სსრ კავშირის კოლექტივი.

როგორც ვაზეთი „კომსოლსკ-  
კაია პრადა“ იუწყება, მოსკოვის ახ-  
ლო დამთავრდა მეგობრული არმიე-  
ბის — სსრ კავშირის, ჩინეთის, ჩე-  
ხოსლოვაკიის, რუმინეთის, მონღო-  
ლეთის, უნგრეთის, გერმანიის, პოლო-  
ნეთის, ბულგარეთის, ვიეტნამის დე-  
მოკრატიული რესპუბლიკის უძლი-  
ერეს სპორტსმენთა ასპარეზობა,

დომებთა და ენერჯით ითამაშა.  
„ბურვესტნიკის“ ახალგაზრდული  
კოლექტივი უდავოდ აღმავლობის  
გზაზე დგას, მაგრამ მის მთავარ  
საზრუნავს ეკლავინდებურად ცენ-

ტობის სრულყოფისათვის, მაგრამ  
თვით ფაქტი, რომ გამოჩნდა ცენ-  
ტრალური თავდასხმელის კან-  
დიდატი, უკვე მისასალმებელია.

მატი თბილისის „ბურვესტნიკ-  
მა“ მოიგო დამსახურებულად. იგი  
წინ იყო შეხვედრის პირველ ნახე-  
ვარში—37:28 და ინიციატივა ხე-  
ლიდან არ გაუშვია მეორე 20 წუთ-  
შიც. შეხვედრის საბოლოო შედე-  
გია 77:67.

გუშინ ბერლინის ჰუმბოლტის  
სახელობის უნივერსიტეტის კა-  
ლათბურთელ ქალთა ნაკრები გუნ-  
დი შეხვდა თბილისის ნაკრებს.

მატი კვლავ მასპინძელია უპირა-  
ტესობით აღინიშნა, რომლებმაც  
მოიგეს კიდევ იგი ანგარიშით 59:45.

ვათა გუნდების შეხვედრაში  
გამარჯვებას მიღწევს თბილი-  
ის ნაკრების კალათბურთელე-  
ბა. მათ დაამარცხეს მოწინააღმდე-  
გეები — 77:64.

## გერმანელი კალათბურთელები თბილისში

თბილისში სტუმრად მყოფმა  
გერმანელმა მოკრივეებმა შეჯიბრე-  
ბის ესტაფეტა ბერლინის უნივერ-  
სიტეტის კალათბურთელთა გუნ-  
დებს გადასცეს და თვითონ მაყუ-  
რებლების ადგილი დაიკავეს. ჰუმ-  
ბოლტის სახელობის უნივერსიტე-  
ტის კალათბურთელებს გამოუჩნ-  
დათ მხურვალე გულშემატკივრები,  
რომლებიც განიცდიდნენ თავიანთ  
თანამემამულეთა ყოველ წარმა-  
ტებას თუ წარუმატებლობას. დასა-  
წყისში ისინი საქმიად აქტიურობ-  
დნენ, ვინაიდან სტუმრების ქალთა  
გუნდმა ენერჯიულად დაიწყო მატ-  
ჩი „ბურვესტნიკის“ წინააღმდეგ,  
მაგრამ გადიოდა წუთები და გულ-  
შემატკივართა შეძახილებიც ცხრე-  
ბოდა. ბოლოს ისინი სავსებით მიწ-  
ყნარდნენ.

ეს მოხდა თამაშის მეათე წუთი-  
სათვის, როცა ჩანელიძის, ჯაფა-  
რიძისა და საბადაშვილის წყალო-  
ბით „ბურვესტნიკმა“ 10-ქულიან  
განსხვავებას მიიღწია. პირველი ნა-  
ხევარი თბილისის გუნდმა მიიგო  
ანგარიშით 28:14.

მატი მეორე ნახევრის პირვე-  
ლი წუთები კვლავ სტუმრების  
უპირატესობით აღინიშნა. ი. რაუ-  
ზეს და ლ. მაქალის წყალობით  
გერმანელთა გუნდმა 8 ქულა მოი-

პოვა ზედიზედ და ანგარიშში განს-  
ხვავება საგრძნობლად შემცირდა,  
მაგრამ ეს იყო სტუმრების უკანას-  
კნელი წარმატება. „ბურვესტნიკ-  
მა“ კვლავ ხელთ იგდო ინიციატივა  
და შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყ-  
ვანა. მატჩის საბოლოო შედეგია  
57:42 თბილისის გუნდის სასარგებ-  
ლოდ.

შეხვედრის უკანასკნელ წუთებზე  
„ბურვესტნიკის“ მწვრთნელმა შე-  
ცვალა ძირითადი შემადგენლობა  
და თამაშის ბედი ახალგაზრდა კა-  
ლათბურთელებს ანდო, რომლებმაც  
ძირითადად გაამართლეს იმედი.  
კარგა იქნება, თუ გუნდი ხშირად  
მიმართავს ასეთ ნაბიჯს. მაშინ მა-  
ლე მას საიმედო რეზერვი გამოუჩ-  
ნდება და ძირითადი ხუთეულის წე-  
ვრებს დასვენების საშუალება მიე-  
ცემათ.

სწრაფი, ტემპიანი და მონდომე-  
ბული თამაში აჩვენა მაყურებლებს  
„ბურვესტნიკის“ ვაჟთა გუნდმა.  
მისი მოქრავი და ტექნიკური ხუ-  
თეული საქმიად ითლად არდევდა  
მოწინააღმდეგის დაცვას და ხში-  
რად ქმნიდა სტუმრების ფარქვეშ  
რიტობრივ უპირატესობას.

აღნიშნულ მატჩში მონაწილეო-  
ბა მიიღო გუნდის თითქმის ყველა  
წევრმა და ყველამ ერთნაირი მონ-

ტრალური თავდასხმელი წარმო-  
ადგენს. ამ როლს დღეისათვის გუნ-  
დში ხან ი. ლევაჯა და ხან რ. მა-  
ნაგაძე ასრულებენ, მაგრამ ისინი  
(განსაკუთრებით ი. ლევაჯა) სხვა  
ტიპის მოთამაშეები არიან, ასე,  
რომ „ბურვესტნიკში“ № 1 პრობ-  
ლემად კვლავ მაღალი ტანის ცენ-  
ტრალური თავდასხმელის პოსტი  
რჩება.

ბერლინის გუნდთან თამაშში  
ცენტრალური თავდასხმელის ად-  
გილი დაიკავა ჯერ კიდევ ნორმა  
კალათბურთელმა ბოლქვაქმ. მას  
ხევრი რამ აკლია თავისი ოსტა-

## 10 გროსმაისტერის მონაწილეობით

უნგრელი გროსმაისტერი გეზა მა-  
როცი, რომელიც 1951 წელს 82  
წლის ასაკში გარდაიცვალა, დიდ  
პოპულარობით სარგებლობდა ჩეკ-  
ნი საუკუნის პირველ მეოთხედში.

1952 წელს ბუდაპეშტში გაი-  
მართა გ. მაროცის სხოვნისადმი მი-  
ძღვნილი I საერთაშორისო ტურნი-  
რი, რომელშიც მონაწილეობდნენ  
საბჭოთა მოჭადრაკეებიც— ბოტ-  
ვინიკი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი,

ტ. პეტროსიანი და ე. გელერი. ტუ-  
რნირში პირველი ადგილი დაიკავა  
პ. კერესმა.

მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს,  
გ. მაროცის გარდაცვალების 10  
წლისთავზე, დაიწყო უნგრელი  
გროსმაისტერის სხოვნისადმი მიძღ-  
ვნილი II საერთაშორისო ტურნი-  
რი. უნგრეთის საჭადრაკო ფედე-  
რაციამ ტურნირზე მიიწვია ათი  
გროსმაისტერი: საბჭოთა კავშირი-  
დან — ვ. სმისლოვი, ვ. კორჩნოი,  
მ. ტაიშანოვი, დ. ბროსშტეინი, ანე-

რიის შეერთებული შტატებიდან—  
ა. ბისპაიერი, პოლანდიდან ა. დო-  
ნერი. გერმანიის დემოკრატიული  
რესპუბლიკიდან ვ. ულმანი, ჩე-  
ხოსლოვაკიიდან მ. ფილიბი და თა-  
ვისი ქვეყნიდან გ. ბარცა, გ. პორტო-  
ში და საერთაშორისო ოსტატები  
ვ. სიმეგინი (საბჭოთა კავშირი), ა.  
ბილკო, ა. ხააგი, ვ. კლიუგერი და  
ოსტატი ნ. დელი (ყველა უნგრე-  
თიდან).



ფერბანა. აქ შედგა მორიგი მა-  
ტი სსრ კავშირის პირველობაზე  
ფუნდრითი „ბ“ კლასის მოკავშირე  
რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს  
შორის. ერთმანეთს შეხვედნენ ადგი-  
ლობრივი „სპარტაკი“ და რუსთავეის  
„მეტალურგი“.

მატი დამთავრდა ფრედ — 0:0.

# საორგულო ფორმის შესანარჩუნებლად

თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საექიმო ფიზკულტურის დისპანსერიდან გამოცემული სპორტსმენი ჯერ კიდევ გაუბედავი ნაბიჯით ეშვება კიბეზე. სადაც გულის კუნთულში მიმალული ექვი არ აძლევს მოსვენებას — თუ ფიზიოთერაპიულმა მკურნალობამ ვერ მოახრჩინა კოქის სახსარი, ეს ჯერ კიდევ პრაქტიკაში დაუნერგავი პრეპარატის ერთი ინექცია რას მიშველისო ეკვის გრძნობას მალე გაკვირვება ცვლის: ერთი საათის წინ კიბეზე წველებით ასულმა უმეტესწილად მითითოვა საფეხურები და ახალი აღმოჩენით გახარებულმა ავტომატურად გაჰკრა ფეხი გზაზე დადებულ პაპირის კოლოფს. ეს ფეხბურთელი შ. იამანიძე იყო.

რომელმაც საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მიერ თბილისში პირველად შემოტანილი პრეპარატის — „ჰიდროკორტიზონის ბლოკადების“ ძალა საკუთარ ორგანიზმზე გამოსცადა. მართლაც ძლიერი და ეფექტური საშუალებაა ეს პრეპარატი ტრავმირებული სპორტსმენის ჯანმრთელობის აღსადგენად სახსრების ანთების, ბურსიტების ან მყესებისა და კუნთების დაჭიმულობის დროს. ამ პრეპარატის წყალობით მოქმედ სპორტსმენთა რიგებში ჩადგენენ ფეხბურთელები თორაძე და

ოდიკაძე, მძლეოსანი შაგოვი და სხვანი. საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის ხშირი სტუმრები არიან ფეხბურთელები, კალათბურთელები და მძლეოსნები, რომლებსაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ დისპანსერის თანამშრომლებთან და ავადმყოფობის ნიშნების გამოვლინებისთანავე იწყებენ მასთან ბრძოლას. აღსანიშნავია ამ გუნდების მწვრთნელების — ა. ლოლობერიძის, თ. ქორქიასა და ლ. გიორგაძის დაინტერესება თავიანთ სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობით. ისინი ხშირად მოდიან

სპორტსმენთა გაწვრთნილობის ხარისხის შესამოწმებლად და შემდეგ ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის მიხედვით ადგენენ ცალკეულ სპორტსმენთა შესაბამისი ვარჯიშით დატვირთვის გეგმას. მაგრამ საექიმო კონტროლის როლი ჯერ კიდევ კარგად არაა აქვთ შეგნებული მოფარეკავეებს, ტანმოვარეშეებს, მოქიდავეებსა და სხვებს, რომელთა შორის რუსულბოისი წამყვანი სპორტსმენებიც გვხვდებით: როგორცაა რ. აბაშიძე, ა. გვირაძე, გ. სხირტაძე, მძლეოსანი რ. ქონაძე და სხვები. უკანასკნელ ხანებში საექიმო ფიზკულტურის დისპანსერმა აი-

თვისა სპორტსმენთა ვიტამინოთერაპია ახლად შემუშავებული მეთოდით. ეს ხელს უწყობს შრომის უნარიანობის ზრდას, ტონუსის ამაღლებას. კონტრული მოშორების განლაშობის და დაღლილობის გადის დაჩქარებას. ეს უნდა შეწყვიტოს სპორტის ისეთ სახეობებში მოვარჯიშებისათვის, სადაც დიდ კუნთურ დაღლივს აქვს ადგილი — ველოროლა, რბენა ვრძელ მანძილზე, თხილამურებით სიარული და სხვა. დისპანსერის კარი ღიაა ყველ სპორტსმენისათვის, ვისაც აინტერესებს საკუთარი ჯანმრთელობის კონტროლი და სპორტული ფორმის შენარჩუნება.

ბ. ხაშინაძე

# დავეუფლოთ უზუბის ტყორცნის ტექნიკას

ხუთიოდ წლის წინათ რესპუბლიკაში შუბის ტყორცნა მძლეოსნობის ჩამორჩენილ სახეობად ითვლებოდა. მაშინ გუნდში ერთი პირველთაირიგისადაც კი არ მიაძებნებოდა, მაგრამ დაუღალავი შრომის, უნერგული წვრთნის შედეგით შედეგები საგრძობად გაიზარდა და ახლა ჩვენს სპორტსმენებს დღის წესრიგში აქვთ 80-მეტრიანი ზღვარის გადალახვა. ამ ბოლო ხანებში ჩვენში მომზადდა ხუთი ოსტატი (ხ. დაოვი — 76,46 მ, კ. გორქემშვილი — 74,82 მ, ლ. შაგოვი — 73,52 მ, ი. წულუკიძე — 73,28 მ და ი. გიგაური — 73,03 მ). ვფიქრობთ, სპორტის ამ სახეობის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება თუნდაც ზოგიერთი ვარჯიში, რაც მალაღი შედეგების მოპოვების საშუალებას იძლევა, ამისათვის საჭიროა შემდეგი ვარჯიშები: სხვადასხვა სიმძიმეების ავგრა, ატაცი, ზაქრომები, ზნექები და ტომები ადგილზე და სხვ. ვარჯიშები დატენილი ბურთებით, საერთო და სპეციალური მოსამზადებელი ვარჯიშები ტანვარჯიშულ კედლებზე. სპეციალური მიმყვანი ვარჯიშები ტექნიკური სრულყოფისათვის, სპორტული თამაშები. ეს დარბაზში, ღია ცის ქვეშ მეცადინეობებისათვის კი ვიყენებთ რბენას და რბენით ვარჯიშებს, ტომებს და

ტომით ვარჯიშებს. დიდ ადგილს ვუთმობთ აგრეთვე მცირე წონის ბირთვის ან ქვების ტყორცნას, ტექნიკის იმიტაციას და ვარჯიშებს უშუალოდ შუბის ტყორცნის ტექნიკის ელემენტებზე, „ჭარბინა“, ანუ მესამე და „სატყორცნი“, ანუ მეოთხე ნაბიჯის დაშვებებზე იარაღის გაშვებით. აი სწორედ ეს არის ჩვენი მტყორცნელების ძალაღ შედეგების საფუძველი.


სწორად და სრულფასოვნად რომ შეისწავლოთ ტყორცნის ტექნიკა, ამისათვის სასურველია სწავლება მოხდეს შემდეგი თანმიმდევრობით. პირველყოფისა, მომეცადინეს უნდა შევასწავლოთ შუბის დაჭრა — „ტაცი“. მომეცადინე დგება ნაბიჯში, შუბი უკავია მარცხენა ხელში სახის წინ, ვერტიკალურად, ისე, რომ სახვევის პირველი ხვეული იმყოფებოდეს თვალის გასწვრივ. სწევს მარჯვენა ხელს ზემოლაგში ნებით წინ და შუბის ტარზე ჩაახვევს ცერა და შუა თითებს, დააცურებს მარჯვენა ხელს შუბის ტარზე იდაყვით ძირს, შუა და ცერა თითის სახვევზე შეხებამდე და შეასრულებს ტაცს სახვევზე, რის შემდეგ მარცხენა ხელით ასწევს შუბს წინ — ზევით პორიზონ-

ტალურ მდგომარეობამდე, გაუშვებს მარცხენა ხელს, მიიღებს საწყისს ტყორცნისათვის და ამ მდგომარეობიდან ტყორცნის შუბს თავს ზევიდან სამიხნეში, რომლიდანაც დაშორებულია 5-10 მეტრით. სურათზე მოცემული ვარჯიშები გამეორებულ უნდა იქნას ყოველ საწვრთნელ მეცადინეობაზე. შემდეგში მტყორცნელებმა უნდა შეისწავლონ სატყორცნი ნაბიჯები. ნაბიჯების შესწავლის გასადვილებლად პირველ რიგში ვსწავლობთ ტყორცნის ერთ ნაბიჯში. ვდგებით მარცხენა მხრით ტყორცნის მიმართულებით, იარაღიანი ხელი გამართულია, პირ-

ველ ნაბიჯს ვასრულებთ მარჯვენა ფეხით (ტყორცნის მიმართულებით), შემდეგ მარცხენა ფეხით ვტყორცნით თავს ზევიდან. ამ ნაბიჯების სრულყოფის შემდეგ ვსწავლობთ სამ ნაბიჯში ტყორცნას, საწყისა მდგომარეობა იგივეა, ან ჯერად ნაბიჯს ვიწყებთ მარცხენა ფეხით, შემდეგში ვსწავლობთ ოთხ ნაბიჯში ტყორცნას. ნაბიჯებს სრულდება ისე, როგორც სამი ნაბიჯის სწავლის დროს, ხოლო იარაღის გატყორცნის შემდეგ მარჯვენა ფეხით ვასრულებთ მეოთხე ნაბიჯს — „თავშეკვების ნაბიჯს“ ამ ილეთის შესწავლის შემდეგ ვდავდივართ სატყორცნი ხუთი ნაბიჯის შესწავლაზე: ვდგებით ნაბიჯებით ტყორცნის მიმართულებით შუბი გვიკავია მხარს ზევით. პირველი ნაბიჯი სრულდება მარჯვენა ფეხით წინ და ამავე დროს ვბრუნებთ ზეტანს ისე, რომ მარცხენა მხარი მიმართული იყოს ტყორცნის მიმართულებით, იარაღიანი ხელი ოდნავ იმართება მარჯვნივ, ხოლო შუბის წვერი ნიკაძის გასწვრივად შეორე ნაბიჯის შესრულებისას იარაღიანი ხელი მთლიანად იმართება მომდევნო ნაბიჯი სრულდება იმავე თანმიმდევრობით, როგორც აწვერეთ ზემოთ. როდესაც დავდევნებით ადგილიდან სატყორცნი ხუთი ნაბიჯის შესრულებას, ვადავდივართ ტექნიკის შესწავლაზე სარულში და ხელ გარბენში, შემდეგ ვადავდივართ სრულ გამობრუნებაში ტექნიკის დახუსტებასა და სრულყოფაზე.

ნ. ლოგუანიძე, ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

ვარჯიშები „სატყორცნი“ ნაბიჯებისა და „დაქმული მშვილდის“ მდგომარეობის სრულყოფისათვის ასრულებენ სპორტის ოსტატები: ბ. დაოვი და კ. გორქემშვილი.



**„კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობაზე**

ამ დღეებში ჩატარდა შეჯიბრება აბაშის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობაზე ველოსპორტსა და სიმძიმეთა აწევაში. ველოსპორტში, სადაც მონაწილეობდა 15 ფიზკულტურული კოლექტივი, კარგი მომზადება გამოავლინეს ნორიოს, სიმქაოს, დაბის კოლმეურნეობათა გუნდმა. ინდივიდუალურ ჩაღვლაში გამარჯვებული პირველთაირიგისადაც ბ. ბოკუჩავამ (დაბა), მეორე ადგილზეა ჯ. სიმონია (ნორიო), მესამეზე — რ. ბოკუჩავა (ნორიო).

სიმძიმეთა აწევაში მონაწილეობდა 10 გუნდი. I-II ადგილები დაიკავეს აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და სამიქაოს ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლებმა.

ბ. გვაზავა

## დავალგათა შესრულებისათვის

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის დავალგათა შესრულებისათვის — 1955 წლიდან სპორტული ბურთებისა და ხარისხიანი სპორტული ინვენტარის გამოშვებისათვის გამოცხადდა მადლობა და საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის სიგელებით დაჯილდოვდნენ თბილისის სამეორის რაიკომბინატის სპორტული წარმოების მუშაკები: ვ. დლაქიშვილი, ბ. კავშიანიძე, მუჰამდ შაჰიდ აჰმედი, ა. ნიკოგოსიანი (საუკეთესო ხარისხის წარმოების ოსტატები), ვ. ოვანესოვი — საამქროს უფროსი, ნ. ჩოლახანიანი — წარმოების ოსტატი, ოსტატები: ს. ტერ-ოვანესოვი, მ. დანელიანი, ს. ისახანიანი, ა. ახმეტოვი, ა. ნავიცი, ვ. არუთინოვი, რაფიკ ღრბოვი, რაზმიკ ღრბოვი, ს. ოვაქიმოვი, ვ. მკრტიანი და ა. გეორგიანი.

# ი. კუტენკო — ჩემპიონი

ათქიდელოთა სპარეზობა თავი-  
დანვე დრამატულად წარიმართა.  
შეჯიბრების დასაწყისშივე 100 მ  
რბენაში ესტონელმა ვ. პალუმ  
ტრავმა მიიღო და შეჯიბრება დას-  
ტოვა. ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი  
უძლიერესი ათქიდელის ბედი გაი-  
ზიარა ჩემპიონობის № 1 პრე-  
ტენდენტმა — ვ. კუნენკოვ-  
მა (მას ბირთვის კერის ერთ-  
ერთი ცლისას ფეხის კუნთი დაე-  
ჭიმა). ამ გარემოებას ათქიდელო-  
თა შეჯიბრებისადმი თითქოს ინ-  
ტერესი უნდა შეემცირებინა, მაგრამ  
ასე არ მოხდა. უკრაინელი ი. კუ-  
ტენკო, მოსკოველი გ. კლიმოვი,  
ლატვიელი ი. ლუსისი, თბილისე-  
ლები ი. დიაჩკოვი, ო. ხოლოდოკი  
და სხვანი იოლ გამარჯვებაზე რთ-  
ლი ფიქრადდნენ. საბჭოთა სექტორ-  
ზე თუ სარბენ ბილიკებზე მათ შო-  
რის დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა —  
ბრძოლა პირველობისათვის, ბრძო-  
ლა საუკეთესო შედეგებისათვის...

ათქიდელოთა შეჯიბრებაში მო-  
წაწილეთა ისეთი დიდი რაოდენო-  
ბა, როგორც ახლა იყო (98 კაცი),  
შანაშღე ჩატარებულ ჩემპიონატებ-  
ზე არასოდეს ყოფილა. ამიტომ  
იყო, რომ პირველი დღისათვის  
პროგრამით გათვალისწინებულ 5  
სახეობაში შეჯიბრებას (რ ბე-  
ნა 100 მეტრზე, სიგარტზე სტო-  
მა, ბირთვის კვრა, სიმაღლე-  
ზე სტომა და რბენა 400 მ) დიდი  
დრო დასჭირდა. შეჯიბრება სიმაღ-  
ლეზე სტომასა და 400 მეტრზე  
რბენაში პროექტორების სინათ-  
ლეზე მიმდინარეობდა. განსაკუთ-  
რებით უკვირდით სიმაღლეზე  
მეტრამელებს, მათ „ბურვესტნი-  
კის“ სტადიონის ტაბლოს ნათურე-  
ბიც მიაშველეს, მაგრამ სპორტ-

სმენთა შდგომარეობა მაინც უნუ-  
გეშო აყო. მოსკოველი გ. კლიმოვი  
თამასაზე თეთრ ქალაღს ამაგრებ-  
და, რომ უკეთ დაენახა ის მონიშ-  
ნული ადგილი, სიდანაც ის ჩვეუ-  
ლებრივ ასრულებს სტომას. მიუხე-  
დავად ამისა, სიმაღლეზე სტომაში  
ბევრი კარგი შედეგი იქნა ნაჩვენე-  
ბი. ჩვენი რესპუბლიკის ათქიდე-  
ლებმა ი. დიაჩკოვმა და რ. ავალი-  
ანმა 185 სმ სიმაღლე პირველ ცდა-  
ზე აიღეს, ამ შედეგს ი. დიაჩკოვმა  
3 სმ მიუმატა და საბოლოოდ აწ-  
ვენა 188 სმ. უკეთესი შედეგი  
ჰქონდა ი. ლუსისს (191 სმ). 400  
მეტრი ი. დიაჩკოვმა კარგად გაიარ-  
ბინა (50,8) და როცა ათქიდელოთა  
შეჯიბრების პირველი დღე დაძ-  
თავრდა, ლიდერთა ჯგუფი 5 სახე-

ობის მიხედვით ასე გამოიყურებო-  
და: I — გ. კლიმოვი (მოსკოვი) —  
4,194 ქულა, II — ი. კუტენკო  
(უკრაინა) — 4,047, III — მ.  
სტოროვენიკო (უკრაინა) — 4,011,  
IV — ი. დიაჩკოვი (საქართველო) —  
3,949 და V — ო. ხოლოდოკი (საქა-  
რთველო) — 3,855. მეორე დღეს  
ათქიდელებმა შეჯიბრება 110 მეტ-  
რზე თარჯბენით დაიწყეს. ი. დია-  
ჩკოვმა მანძილი გაიარბინა 15,3  
წამში და ლიდერთა ხუთეულში შე-  
ინარჩუნა ადგილი, სამაგიეროდ,  
ო. ხოლოდოკმა თავისი ადგილი ნ.  
ბერეზუცკის დაუთმო, რომელმაც  
თარჯბენში დღის საუკეთესო შე-  
დეგი აჩვენა — 14,5. ბადროს  
ტყორცნის შემდეგ ო. ხოლოდოკმა  
7 სახეობაში მოგროვილი 5,125

ქულით ლიდერთა ჯგუფში დაბ-  
რუნა თავისი ადგილი, ხოლო ი.  
დიაჩკოვმა წინ გადაინაცვლა და  
5,378 ქულით სამეულში მოხვდა.  
ლიდერთა ჯგუფს დაუახლოვეს  
ლატვიელი ი. ლუსისი (5,004 ქუ-  
ლა).  
ქოკით სტომაში, შუბით ტყორ-  
ცნაში და 1500 მეტრზე სტომაში  
თითქმის ერთდროულად მიმდინარე-  
ობდა შეჯიბრება: როგორც კი  
სპორტსმენი ამთავრებდა გამოხე-  
ლას ქოკით სტომაში, იგი შუბის  
სატყორცნ სექტორზე გადადიოდა.  
ბრძოლა უფრო დაძაბული და  
შწავვე გახდა. და სწორედ აქ აჩვე-  
ნა ლატვიელმა ი. ლუსისმა კარგი  
შედეგები და სულ მალე პრი-  
ზიორთა სამეულიდან გამოთო-  
შა ი. დიაჩკოვი. ოქროს ვერ-  
ცხლი და ბრინჯაო ასე გა-  
ნაწილდა: I ადგილი — ი. კუტენ-  
კო (უკრაინა 1 გუნდი) — 7,721  
ქულა, II ადგილი — მ. სტორო-  
ვენიკო (უკრაინა 1 გუნდი) — 7,257  
ქულა და III ადგილი — ი. ლუ-  
სისი (ლატვია) — 7,120 ქულა. სა-  
ქართველოს წარმომადგენელი ი.  
დიაჩკოვი IV ადგილით დაკმაყო-  
ფილდა (6,990 ქულა).  
გ. პაუპიძე

საბჭოთა კავშირის  
1961 წლის პირად-გუნდური  
პირველობა  
მმლენსონობაში



მმლენსონობაში საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობის პროგრამის ერთ-ერთი ხაინტერესო სახე-  
ობა იყო მარათონული რბენა.  
სურათზე: მარათონელებმა დატოვეს სტადიონი და ვაკე-საბურთალოს გზით შეუდგნენ „ზესტაიერული“  
მანძილის დაძაბვას.

ჩემპიონატის პირველ  
დღეს 20 კილომეტრზე  
სპორტული სიარულის  
დამთავრების შემდეგ მე-  
სამე ადგილით აშკარად  
უკმაყოფილო იყო სა-  
ქართველოს გუნდის წევრი ა.  
შჩერბინა. „შე შევძლებ რევან-  
შის აღებას. შეჯიბრების უკანასკ-  
ნელ დღეს 50 კილომეტრზე სიარუ-  
ლში აღარ დავთმობ ოქროს მე-  
დალს“. — ასეთი იყო ალექსანდ-  
რეს გადაწყვეტილება. ჩვენ გვკე-  
როდა მისი, ამიტომაც მოუთმენ-  
ლად ველოდით რევანშის დღეს.  
მით უმეტეს, რომ ჩემპიონატი მთავ-  
რდებოდა და საქართველოდან  
შჩერბინას მეტი პრიზიორთა არაეინ  
გვეყავდა.  
დადგა ეს დღეც. 60-ზე მეტი  
სპორტსმენი გაყვა 50-კილომეტ-  
რთან დისტანციას და რამდენიმე კი-  
ლომეტრის შემდეგ ჯგუფებდა და-  
ნაწილდა. ლიდერთა ჯგუფში შევი-  
დნენ უძლიერესნი — მ. ლავროვი,  
ა. ვგაროვი, გ. პანიჩინი, გ. გო-  
ლუბინი, ა. ველიკოვი, ა. შჩერ-  
ბინა და რამდენიმე სხვა.  
რთული ტრასა უმძიმდომ ლიდე-  
რებსაც. ძალღონეს არ ზოგავდნენ,  
ცილიტდნენ არ დაშორებოდნენ  
ერთმანეთს. არ ჩქარობდა მხოლოდ  
ა. შჩერბინა. 5 კმ-ს შემდეგ იგი მე-  
ათე იყო და სწორედ ამ მომენ-

## გაუთვალისწინებელი მდგინააღმდეგე

ტიდან მოუმატა მან ტემპს.  
მე-8 კილომეტრზე წინ წაიდა  
გოლუბინი, მას მიჰყვებოდნენ ლა-  
ვროვი და პანიჩინი. შჩერბინამ  
მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა.  
იგი საკმაოდ მსუბუქად მიდიოდა,  
მეთოდურად ასორციელებდა ჩანა-  
ფიქრს: შუა დისტანციიდან გასუ-  
ლიყო წინ და მართლაც, მორიგი 7  
კილომეტრის შემდეგ შჩერბინა  
უკვე მეორე იყო. იგი ლავროვთან  
ერთად წამოეწია გოლუბინის,  
ხოლო მე-18 კილომეტრზე წინ წა-  
სულ ლავროვს სულ რაღაც 23 წა-  
მით ჩამორჩებოდა.  
ზუსტად შუა დისტანციის შემდეგ  
კვლავ წინ იყო მ. ლავროვი, მაგ-  
რამ მეტად უმნიშვნელო მანძი-  
ლით — 3 მეტრით. ყოველ მეტრს  
ახალი უპირატესობა მოჰქონდა სა-  
ქართველოს გუნდის წევრისათვის.  
იგი ზუსტად იმ გრაფიკით მიდიო-  
და, როგორც ვანკლი 50 კმ რომ-  
ში, როცა საბჭოთა სპორტსმენებს  
შორის პირველი და ინგლისელ დ.  
დომბონის, შვედ ი. იუნგერენისა  
და იტალიელ ა. პამიჩის შემდეგ  
მეოთხე იყო ფინიშზე. მაშინ შჩერ-

ბინამ ველიკოვს 8,13  
წუთი მოუგო, ახლა კი...  
უკან დარჩა კიდევ 10  
კილომეტრი, კვლავ ფეხ-  
დაფეხ მიყვებიან ერთმან-  
ეთს ლიდერები და აი,  
სწორედ ამ მომენტში, ფინიშამდე  
15 კილომეტრით ადრე იგრძნო  
შჩერბინამ ფეხის კუნთის კრუნჩხ-  
ვა. სხვა დროსაც მოსვლია მსგავსი  
შჩერბინას, ვეღარ მიდიოდა მისთ-  
ვის ჩვეული მსუბუქი ნაბიჯით, მაგ-  
რამ თავს ძალას ატანდა, არ წყვე-  
ტდა ბძოლას.  
45-ე კილომეტრზე მან მესამე  
ადგილზე გადაინაცვლა, და ახლა  
ლიდერს — მ. ლავროვს 4 წუ-  
თით ჩამორჩებოდა, მაგრამ ეს კი-  
დევ არ ნიშნავდა ოქროს მედალის  
დაკარგვას, ვინაიდან დრო საკმარისი  
იყო. ერთს ნატრობდა მხოლოდ  
სპორტსმენი — დროზე გავწლო  
კრუნჩხვას.  
ფინიშამდე 5 კილომეტრით ადრე  
გადაწყდა ოქროს მედალის ბედი  
ლავროვის სახარებლოდ — მესამე  
ადგილზე მყოფმა შჩერბინამ სია-  
რული შეწყვიტა. ეს მით უფრო  
დასანანიოა, რომ სპორტსმენი შე-  
ხანინავდა ფორმაში იმყოფებოდა.  
ასე დაჰპარგა საქართველოს გუნ-  
დმა პირველი ადგილის ქულუბი,  
ხოლო თვით შჩერბინამ — ოქ-  
როს მედალი.


- ასეთია  
საბოლოო  
გუნდური  
შედეგები:**
1. ლენინგრადი — 141.617 ქულა.
  2. რსსრ — 138.060 ქულა.
  3. მოსკოვი — 137.256 ქულა.
  4. უკრაინა — 136.699 ქულა.
  5. ბელორუსია — 94.782 ქულა.
  6. საქართველო — 74.509 ქულა.
  7. ლატვია — 71.476 ქულა.
  8. ლიბია — 70.379 ქულა.
  9. ესტონეთი — 63.534 ქულა.
  10. უაზახეთი — 57.475 ქულა.
  11. აზერბაიჯანი — 55.617 ქულა.
  12. უზბეკეთი — 49.635 ქულა.
  13. უიბრიათი — 41.107 ქულა.
  14. თურქმენეთი — 31.701 ქულა.
  15. მოლდავეთი — 22.991 ქულა.
  16. ბაჯიკეთი — 16.052 ქულა.
  17. სომხეთი — 13.367 ქულა.
- შენიშვნა:** მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის მეორე გუნდები შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კონკურსგარეშე.

17  
რსსრ-დან

— მარათონული რბენის (42 კმ 195 მ) მონაწილეებმა გაიარბინეს 15 კილომეტრი. შეჯიბრებას ლიდერობს რსსრ-ს გუნდის წევრი ა. ივანოვი, მისი შედეგია 51.03,01 — გამოაცხადა დიქტორმა, როცა ათქილის ლიდერები მორიგ სიმაღლეს მღვედნენ ქოკით სტომაში.  
მმლენსონობაში გათვითცნობიერებულ მყურებლებს ეს არ გაჰკვირვებოთ, ვინაიდან ამ სახეობაში რსსრ-ს სპორტსმენები წლების განმავლობაში ითვლებიან უძლიერესებად. ასოვთ მყურებლებს, როცა 1958 წლის პირველობაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, სწორედ რსსრ-ს მარათონელებმა მოიგეს პირველობა.  
ასე იყო ახლაც. სტარტიდან ფინიშამდე იცვლებოდა ლიდერთა გვარები, უცვლელი რჩებოდა მხოლოდ გუნდი. შეჯიბრების ლიდერებმა მოიტოვეს 25 კილომეტრი, მაგრამ ა. ივანოვის ადგილი მისმა თანაგუნდელმა ვ. ბოიკოვმა დაიკავა და შემდგომში აღარც დაუთმია იგი. მ. ჩოიბოვა ოქროს მედალი — 2:24.05,4.  
ზუსტად 16 წამს შემდეგ შემოვიდა ფინიშთან მისი თანაგუნდელი სმოლენსკელი ლ. კონოვი, რომელმაც პირველად შეასრულა ოსტატობა. მაგრამ ამით არ შემოიღარგლა რსსრ-ს მარათონელთა წარმატება. ბრინჯაოს მედალიც მათს გუნდს დარჩა (ა. ულაგინი).  
პრიზიორთა გარდა კიდევ 20 სპორტსმენმა დაამთავრა რბენა და „ლიბიტეც“ ამოიწურა — გათავდა ჩასათვლელი პირველი თანრიგის დრო — 2 საათი და 35 წუთი. სხვა დანარჩენ 47 მონაწილეს ამოდ ჩუარა უძნელესი ტრასის გარბენა. მათ შორის მოხვდა ა. ივანოვიც, რომელიც 49-ე ადგილზე ამოიწინდა. სამაგიეროდ, 23 ჩასათვლელ სპორტსმენს შორის 17 რსსრ-ს წარმომადგენელი იყო.  
რა ითქმის ჩვენი გუნდის წარმომადგენლებზე ამ სახეობაში? სახარბიელო არაფერი. მხოლოდ ერთი სპორტსმენი — ნ. ვესევი გაამოვიდა სტარტზე. იგი ფინიშზეც მოვიდა, მაგრამ „ლიბიტეც“ ვეღარ მოუწერო და ქულა ვერ მისცა კოლექტავს. ნ. ვესევემა მხოლოდ 11 თანრიგის შედეგი აჩვენა (2:50.02) და 65-ე ადგილი დაიკავა.  
ო. გალაშვილი

ლ ე ლ ი  
გვ-3 33, № 161 (1797)

# „რას მალავს სპორტული კავშირი“



ამ სურათზე გამოსახულია ორი მოქიდავის შერეობა. ფიგურები გამოკვეთილია ხისაგან თვითნაწავლი ოსტატის ვ. ჩაგელიშვილის მიერ და ექსპონირებულია ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ფოტო რედაქციას გადასცა ექსპედიციაში მყოფმა ვ. ელაშვილმა.

ამ სათაურით გამოაქვეყნა წერილი ავსტრიის გაზეთმა „ფოლკს-შტიმემ“. ამ ქვეყნის სპორტულ საზოგადოებრიობასთან ერთად ყურნალისტები განაწყენებული არიან იმ ამბით, რომ საუკეთესო ავსტრიელი სამთო-მოთხილამურეები ტოვებენ სამოყვარულო სპორტს, მიემგზავრებიან ოკეანის გაღმა — ამერიკის პროფესიულ სათხილამურო ცირკში, რომელიც გასულ წელს შეიქმნა. საკმარისია დავასახლოთ რამდენიმე გვარი, რომ ნათელი გახდეს თუ რა უდიდესი ზარალი განიცადა ავსტრიის სათხილამურო სპორტმა. ამერიკაში გამგზავრდნენ მოლტერერი, შპისი, პრავდა და სხვა ბევრი უძლიერესი სპორტსმენი, რომლებმაც მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონობის მედლები გაცვალეს დიდ ქაშაგარზე.

ამჟამად ავსტრიის სპორტის მოყვარულებში დადის ხმები, რომ 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ავსტრიის სათხილამურო კავშირის თანხმობის საფუძველზე ამ ქვეყნის ახალი „ვარსკვლავები“ დაადგებიან შპისისა და მოლტერერის გზას, ამასთან დაკავშირებით ავსტრიის სათხილამურო კავშირმა გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „არ შეიძლება ანგარიში არ გავწიოთ ერთნაირი გუნდიდან მოთხილამურეთა პროფესიულ ცირკში გადასვლას“. მაგრამ შემდეგ ავტორები ცდილობენ დაამყვილონ საზოგადოებრიობა, რომ ავსტრიაში ჯერ კიდევ არის ახალგაზრდა კადრები და მათ შეუძლიათ შეცვალონ ამერიკაში წასულნი.

**სიჩქარეთა მსხვერპლი**

საზღვარგარეთელი ბოპულაროზი მისი სარგებლობის პროფესიონალია ავტო-მტრის ტრასაზე. მაგრამ ასეთ „ლონისძიებებს“ როგორც ჩრდილოეთს სდევს ადამიანთა მსხვერპლი, რადგან დიდი ფულადი ჯილდოს მიღებით დაბრმავებული სპორტსმენები არაფრად ავდებენ დიდ სიჩქარეს, სიცოცხლის ფასადაც ცდილობენ მეტოქის გასწვრებას...

ამის წინათ კუნძულ მენზე (ინგლისი) მოხდა მორიგი უბედური შემთხვევა. ფინიშიამდე რამდენიმე მეტრი იყო დარჩენილი, როცა ინგლისელი მოტოციკლისტი ფრედ ნევილი მთელი სისწრაფით ვირაჟზე გავიდა, წონასწორობა ვერ დაცვა და მანქანა ორჯერ გადაუტრიალდა. მოტოციკლისტი დამსხვრეული მანქანიდან ძლივსსივლივით გამოიყვანეს. მის თავის ქალაზე ჰქონდა სასიკვდილო ჭრილობა, მან საავადმყოფოში გერ მიადგინა და გზაშივე გარდაიცვალა.

მოუთხოვრებლად რა მკითხველებს ფ. ნევილის კატასტროფის ამბავს, ინგლისური გაზეთები აღნიშნავენ, რომ „ამ ერთი კვირის განმავლობაში ეს იყო მესამე სასიკვდილო შემთხვევა“.

# პოპეის „მულმივი საკითხი“

მულმივი საკითხი ალბათ ყველგან დგას, გარდა ზუსტი მეცნიერებისა, სპორტი მათს რიცხვს არ მიეკუთვნება. ასე, რომ მასაც აქვს თავისი, ათეული წლობით სადავო პრობლემები. კრივის რომელი სტილია უკეთესი — ამერიკული თუ ინგლისური? რომელი დაევა ვამპო-ბინოთ კალათბურთში — ზონური თუ პერსონალური? დაკვირვება ხასიათს ატარებს თუ შეტევით ფეხბურთში სქემა 1+4+2+4?

პოპეისაც აქვს თავისი საკუთარი „მულმივი საკითხი“. თუმცა, იგი შედარებით ახალა და შესაძლოა ამიტომ ჯერ არაა ფორმულირებული.

დაწყვეტ რიუს სრულიად არ თამაშობს. ჩვენებური შაიბიანი პოკეი, თუ შეიძლება ითქვას, რუსული პოკეის მინდვრებზე დაიბადა. ვრცელი ყინულოვანი მოედნები, სადაც ბურთიან პოკეის თამაშობენ, თავის ტაქტიკურ პრინციპებს კარნახობენ, ესაა ვალდებულებით თამაში, თავისუფალ ადგილზე გასვლა, მრავალსულიანი კომბინაციები, სწრაფი რბოლა, კარგი დრიბლინგი. აქ აუცილებელი არა ისეთი ხასიათის ძალისმიერი ბრძოლა, როგორც შაიბიან პოკეიში.

მაგრამ, დაღა დრო და ჩვენმა პოკეისტებმა ბურთი შეცვალეს შაიბით, თუმცა რუსულ პოკეიში მიღებული ჩვევები დავიწყებულნი არ იქნა, ამიტომაც საბჭოთა პოკეის ტა სტილი უფრო მოხდენილი, დახვეწილი და კომბინაციური, ვიდრე კანადელებსა.

რომელი სტილია უკეთესი? სწორედ ესაა პოკეის „მულმივი საკითხი“. მაგრამ პოკეის სპეციალისტთა დავა, ბუნებრივია, არ ეხება საქმის ესთეტიკურ მხარეს. სპორტში ლამაზია ის, რასაც გამარჯვება მოაქვს. მაშ რამელი სტილია უფრო ძლიერაოსილი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეიძლება მხოლოდ იმით, რომ დავითოვლოთ წაგება-მოგება საბჭოთა კავშირისა და კანადის გუნდების მატჩებში. თამაშის ბედს წყვეტს არა მარტო სტილი, არამედ ტექნიკა, ინდივიდუალური ოსტატობა, მოთამაშეთა განწყობილება და ბევრი სხვა რამეც.

ლიახ, კანადური პოკეი უფროდ უფრო რბილი და კომბინაციური გახდა. მაგრამ ასევე ცხადია, რომ უფრო მტკიცე და მიზანსწრაფი გახდა საბჭოთა პოკეი. და ეს ბუნებრივია, ორი სკოლა ერთმანეთზე მოქმედებს და ერთმანეთს ამდიდრებს.

გავა დრო და მკვეთრი ზღვარი ამ ორ სტილს შორის შეიძლება აღარ დარჩეს. მაგრამ ეს არ იქნება გაუფერულება. უბრალოდ, პოკეის დიდე ერთი საფეხურით აიწვეს მაღლა.

აი რატომ ჩავსვით „მულმივი საკითხი“ ბრჭყალებში. შესაძლოა შორს არ არის ის დრო, როცა პრაქტიკა დღის წესრიგიდან მოხსნის მას.

წარმოიდგინეთ ორი საუკეთესო აღნაგობის გოლიათი, ორივე მიმზიდველია, მაგრამ თვითული მათგანი — თავისებურად. პირველში გიზიდავთ დიდი კუნთები, ფართე ბეჭები, დიდა ღონე და ძალა, რომელიც თვითველ მის მოქმედებაში სკევივის. მეორესაც შეხანიშნავი ძალა აქვს, მაგრამ იგი უფრო თავისი მოხდენილი აღნაგობით იზიდავს ყურადღებას.

რომელი სტილია უკეთესი? სწორედ ესაა პოკეის „მულმივი საკითხი“. მაგრამ პოკეის სპეციალისტთა დავა, ბუნებრივია, არ ეხება საქმის ესთეტიკურ მხარეს. სპორტში ლამაზია ის, რასაც გამარჯვება მოაქვს. მაშ რამელი სტილია უფრო ძლიერაოსილი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არ შეიძლება მხოლოდ იმით, რომ დავითოვლოთ წაგება-მოგება საბჭოთა კავშირისა და კანადის გუნდების მატჩებში. თამაშის ბედს წყვეტს არა მარტო სტილი, არამედ ტექნიკა, ინდივიდუალური ოსტატობა, მოთამაშეთა განწყობილება და ბევრი სხვა რამეც.

ამრიგად, დავა გრძელდება. ვინ არის მართალი? ნუ ვიჩქარებთ პასუხის გაცემას. მოდით, ჯერ მცირე ექსპურსი მოვახდინოთ უახლოესი წლების ისტორიაში.

„კელოვნა პეკერისი“ — ასე ეწოდებოდა გუნდს, რომელიც პირველად ჩამოვიდა კანადიდან ჩვენს ქვეყანაში. საბჭოთა მწვრთნელების აზრით, ეს იყო კანადური პოკეის ტიპიური წარმომადგენელი. სპორტის მოყვარულებს ახლაც ახსოვთ სპორტსმენები რ. კოვალჩუკის მეთაურობით, რომლებიც ჩვენი კარისკენ ჩიქურ მიდიოდნენ და ვველაფერს თელავდნენ თავიანთ გზაზე. მე ვიჭირობ, სპორტის სახალის დირექტორმა მაშინ ზომავს მეტად იყო შემოფთხებული მოედანს შემორტყმული ჩეპირის ბედი, რომელზეც კანადელები ანარცხებდნენ ჩვენს პოკეისტებს. ერთი სიტყვით, „კელოვნამ“ გვიჩვენა ყველაფერი, რასაც ჩვენ ვისმენ-

დით და ვკითხულობდით კანადური პოკეის შესახებ.

და აი, გასულ ზამთარს კანადელი სპორტსმენები ისევ მოსკოვის სტუმრები იყვნენ. განსაკუთრებით საინტერესო იყო „ტრიელ სმოუკ იტერისი“ ჩამოსვლა, რომლის ბირთვი შეეცადიის შეჯიბრებაზე, მსოფლიო ჩემპიონი გახდა. „ტრიელის“ ბევრი რამ ჰქონდა საერთო „კელოვნასთან“: აქაც ნამდვილი ათლეტები იყვნენ, რომლებიც შეხანიშნავად თამაშობდნენ კორბუსით, აქაც იყო სავალდებულო და გავლენა ბრძოლაში. მაგრამ ადგილი ჰქონდა გარკვეულ სიახლესაც. „ტრიელი“ ძლიერია არა „ვარსკვლავებით“, არამედ შეთანხმებით, კომბინირების უნარით. „ტრიელი“ ამჟამად სკოპის „კელოვნას“ ტაქტიკური ოსტატობით. და იგი უფრო ჩვენს გუნდებს ჰგავს, ვიდრე „კელოვნას“. „ტრიელი“ გამოწვევისი არაა თავის ქვეყანაში. მისი წინამორბედი, რომელიც გასული წლის შემოდგომაზე იყო სტუმრად მოსკოვში — „ჩატამ მარუნისი“, აგრეთვე კომბინაციური გუნდია.

ბევრი მათგანი, ვინც „ტრიელი“ მოსკოვში წახდა, მის უჩვეულოდ რბილ თამაშს ხსნიდა იმით, რომ გუნდი ძალეხს იზოგავდა მსოფლიო პირველობისთვის. მე მომიხდა ამ გუნდის ნახვა შეეცადიისშიც. იქ კანადელები მართლაც უფრო ძლიერად თამაშობდნენ, ვიდრე მოსკოვში. მაგრამ ეს იყო, ასე ვთქვათ, რაოდენობრივი და არა თვისობრივი სხვაობა. „ტრიელის“ სტილი იგივე რჩებოდა: ლოზანაშიც და ქენევაშიც კანადელები თამაშობდნენ იმავე პოკეის, რასაც მოსკოვში.

რაც შეეხება ჩვენებს, ჯერ კიდევ სამოდე წლის წინათ საბჭოთა პოკეისტებს სამართლიანად უსაყვედურებდნენ, რომ მათ არ შეეძლოთ კორბუსით თამაში. ეს ნაკლი ახასიათებდა ისეთ კორიფესაც, რომ გორიც იყო ვსევლოდ ბობროვი.

ახლა ჩვენი მოთამაშეები არ ჩამოუვარდებიან კანადელებს იმაში, რომ მკერდით შეხვდნენ მოწინააღმდეგეს. მე არაფერს ვამბობ ისეთ ათლეტებზე, როგორებიცაა ი. ტრეგუბოვი, ნ. სოლოგუბოვი და ა. რაგულინი. ამ მცველებს სიაშოვნებით აიყვანდა კანადის ყოველი გუნდი, მე ვნახე ლოზანაში მატჩი-სსრ კავშირი-შეეცა. რამდენჯერ ავუბღვენ ძალისმეგრ ბრძოლას შედეგი გვიანტები ჩვენს „მსუბუქწონიანებთან“ ვ. ჩაქუშევიან და მებე მაიოროვებთან..

**დღეს!**

„პურევესტნიის“ სტადიონი

**ფეხბურთი**

„დინამო“ (თბილისი) — „პაბსტაორი“ (ტაშკენტი)

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 16 საათზე.

**11-15 ოქტომბერი**

**მ. სარგაძე**

**რედაქტორი ი. უზულაშვილი**

**მ. ი. ლენინის სახ. სასპორტო დარბაზი**

**საპარტიველო 1961**

**წლის პირბაღ-გუნდური პირველობა**



**ტანპარჯიუში**

15 ოქტომბერს ჩატარდება ფინალური შეჯიბრებები ტანპარჯიუშის ცალკეულ სახეობებში ექვს-ექვსი საუკეთესო ოსტატის მონაწილეობით.

დასაწყისი: 11, 12, 13, 14 ოქტომბერს — 16.00 საათზე, 15 ოქტომბერს — 14.00 საათზე.